

ღიაობა საქართველოში

ღია მმართველობის პარტნიორობა

ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) აშშ-ს პრეზიდენტის ინიციატივით 2011 წლის სექტემბერში დაფუძნდა. პარტნიორობას ქვეყნები ნებაყოფლობით უერთდებიან და რიგ ვალდებულებებს კისრულობენ ღია მმართველობის, გამჭვირვალობის, მოქალაქეების ჩართულობის განვითარების, კორუფციასთან ბრძოლის, ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის თვალსაზრისით.

თავდაპირველად, OGP-ის მონაწილეები იყვნენ მხოლოდ ქვეყნების აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, თუმცა, 2014 წელს ღია მმართველობის პარტნიორობის პლატფორმა გაფართოვდა და მოიცვა საკანონმდებლო ორგანოების საქმიანობაც. ამასთანავე, ღია მმართველობის პარტნიორობამ 2016 წელს გამოაქვეყნა ადგილობრივ ხელისუფლებათა საპილოტე პროგრამა.

უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს ღია მმართველობის მიმართულებით. საქართველოს, როგორც პარტნიორობის მონაწილე ქვეყნის, წარმატების დადასტურებაა ის, რომ 2014 წელს ქვეყანა OGP-ის მმართველი კომიტეტის წევრად ორწლიანი ვადით აირჩიეს, ხოლო 2016 წელს – თანათავმჯდომარე სახელმწიფოდ. 2017 წლის 19 სექტემბრიდან კი საქართველო ღია მმართველობის პარტნიორობის თავმჯდომარე ქვეყანა გახდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს მთავრობის პოლიტიკაში დღემდე არსებობს გარკვეული პრობლემები და გამოწვევები ღია მმართველობის პარტნიორობის დამფუძნებელი პრინციპების საჯარო მმართველობაში დამკვიდრების კუთხით. ამ კვლევის მიზანია საქართველოში არსებული მნიშვნელოვანი ღია მმართველობის პროცესების მიმოხილვა და არსებული გამოწვევების ჯეროვანი შეფასება.

პირველი ნაბიჯები (2011-2013)

2011 წლის სექტემბერში საქართველო შეუერთდა ღია მმართველობის პარტნიორობას და ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც 2012 წელს ორწლიანი სამოქმედო გეგმა შეიმუშავა და დაამტკიცა. სხვა წვერი ქვეყნების სამოქმედო გეგმებთან შედარებით, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმის ტექსტი

საგრძობლად ამბიციური იყო და შეიცავდა ისეთ ვალდებულებებს, როგორიცაა მოქალაქის პორტალისა და პეტიციების ონლაინ პლატფორმის შექმნა, ასევე საჯარო შესყიდვებისა და პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობის გაზრდის შესახებ ვალდებულებებს. უკანასკნელი ვალდებულების წყალობით საქართველოს მოქალაქეებს პირველად მიეცათ შეუზღუდავი წვდომა ღია მონაცემებზე პოლიტიკური პარტიების დაფინანსების წყაროების შესახებ.¹

¹ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ ღია მონაცემების ბაზაზე საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ 2016 წელს შექმნა ვებგვერდი www.politicaldonations.ge, სადაც თავმოყრილია ინფორმაცია 2012 წლიდან პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ განხორციელებული შემოწირულობების შესახებ.

მიუხედავად ამისა, საქართველომ პირველი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ღია მმართველობის პარტნიორობის წესებით გათვალისწინებული მინიმალური პირობები ვერ დააკმაყოფილა. კერძოდ, არ გაკეთებულა წინასწარი შეტყობინება კონსულტაციების თაობაზე. სამოქმედო გეგმის შემუშავებისას მთავრობა არასამთავრობო ორგანიზაციათა მცირე ჯგუფის ეყრდნობდა და შესაბამისად არ იყო უზრუნველყოფილი ცნობიერების ამაღლება OGP-ის ღონისძიებათა შესახებ.²

ამასთანავე, პირველი სამოქმედო გეგმა ეროვნულ დონეზე არ იყო გამყარებული ნორმატიული აქტით; ასევე, არ არსებობდა ჩამოყალიბებული ეროვნული საკოორდინაციო მექანიზმი. ფუნქციონირებდა მხოლოდ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის გაერთიანება – არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმი, რომელიც პერიოდულად იკრიბებოდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში მათ წარმომადგენელთან შეხვედრაზე. აღნიშნული შეხვედრები, ძირითადად, დაუგეგმავ ხასიათს ატარებდა და ფორუმს არ ჰქონდა გამოკვეთილი ფუნქციები.³

მომდევნო სამოქმედო გეგმები (2014-2018)

ღია მმართველობის პარტნიორობის რეგულაციების შესაბამისად, სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი უნდა იყოს განმტკიცებული სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერითა და არასამთავრობო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით.

როგორ მუშაობს OGP

1) გაწვევება

დაინტერესებული ქვეყნები საჯაროდ აცხადებენ ღია მმართველობის პარტნიორობაში გაწვევების სურვილს და უერთდებიან ღია მმართველობის დეკლარაციას

2) თანამონაწილეობა

არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობით და ქვეყნის მასშტაბით საჯარო კონსულტაციების პროცესში მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მთავრობა შეიმუშავებს და ამტკიცებს ორწლიან სამოქმედო გეგმას

3) შესრულება

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვადებისა და ინდიკატორების შესაბამისად, მთავრობა და შესაბამისი უწყებები ასრულებენ სამოქმედო გეგმით ნაკისრ ვალდებულებებს

4) ანგარიშგება

OGP-ის წვერი ქვეყნებისთვის ორი ანგარიშგების მექანიზმი არსებობს:

1) დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM), რომელიც თითოეული წვერი ქვეყნის მიერ ერთი წლის განმავლობაში განხორციელებულ ღონისძიებებს აანალიზებს;

2) თვითშეფასების მექანიზმი, რომელსაც OGP-ის წვერი ქვეყნები წელიწადში ორჯერ შეიმუშავებენ მათ მიერ განსახორციელებელი სამოქმედო გეგმებისთვის

5) ცოდნის გაზიარება

OGP-ის წვერი ქვეყნები უზიარებენ ერთმანეთს საუკეთესო გამოცდილებას, ცოდნას, პრობლემებს და პრაქტიკას

² ანგარიშგების დამოუკიდებელი მექანიზმი საქართველოში: 2012–2013 წწ. წინსვლის ანგარიში: goo.gl/sjRHuJ

³ ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2510377>

ამასთანავე, ღია მმართველობის პარტნიორობის სახელმძღვანელო დოკუმენტებით გათვალისწინებულია ეროვნულ დონეზე კოორდინაციისა და მონიტორინგის მექანიზმის არსებობის აუცილებლობა.⁴

პირველი სამოქმედო გეგმის დასრულების შემდგომ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ინიციატივით და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერით მთავრობისთვის შეთავაზებული იქნა წინადადება მუდმივმოქმედი საკოორდინაციო მექანიზმის ჩამოყალიბების შესახებ აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველზე ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნომ ღია მმართველობის პარტნიორობის რეგულაციების გათვალისწინებით ეროვნულ დონეზე შეიმუშავა ახალი კოორდინაციისა და მონიტორინგის მექანიზმის (ფორუმის) სახელმძღვანელო წესები.

განახლებულმა ფორუმმა ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის (მეორე სამოქმედო გეგმა) შემუშავებაში საკვანძო როლი შეასრულა⁵. ფორუმის შემადგენლობა ეტაპობრივად იზრდება პასუხისმგებელი უწყებებისა და ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების უკეთესი წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მიზნით⁶. ფორუმს ხელმძღვანელობენ თანათავმჯდომარეები – საქართველოს მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. არასამთავრობო ორგანიზაციები ერთობლივად წარუდგენენ თავიანთ კანდიდატს ფორუმს ასარჩევად.

ფორუმის მთავარ ამოცანას წარმოადგენს:

- ეროვნულ დონეზე ღია მმართველობის საკითხებზე წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, სამოქმედო გეგმის პროექტის მომზადების მონაწილეობითი პროცესის ხელშეწყობა, საჯარო კონსულტაციების დაგეგმვა და ჩატარება
- სამოქმედო გეგმის შესრულების ხელშეწყობა და მონიტორინგი. შესაბამისი წინადადებების, რეკომენდაციების მომზადება და სამდივნოსთვის წარდგენა
- ღია მმართველობის პარტნიორობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

მეორე ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს კონსულტაციები მნიშვნელოვნად ფართო მასშტაბის იყო და ამ კონსულტაციებზე საზოგადოების ინფორმირება უფრო ადრე მოხდა, ვიდრე პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისას. თუმცა კონსულტაციებში პრემიერ-მინისტრის კაბინეტი, პარლამენტი და კერძო სექტორი არ იყო ჩართული. OGP-ის შესახებ საზოგადოების ცნობიერების დონეც დაბალი იყო.⁷

ამასთანავე, მეორე ეროვნული სამოქმედო გეგმა წინა ეროვნულ სამოქმედო გეგმასთან შედარებით გაუმჯობესებული იყო ვინაიდან მასში გათვალისწინებული იყო უფრო მეტი ღია მმართველობის პრინციპებთან შესაბამისი ვალდებულება და მათი შესრულების პროგრესის შეფასების ინდიკატორი⁸. საქართველოს კონტექსტში

⁴ OGP Participation & Co-creation Standards: <https://www.opengovpartnership.org/ogp-participation-co-creation-standards>

⁵ საქართველო: საბოლოო ანგარიში (2014–2016): http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Georgia_EOTR_2014-2016_for-public-comment_GEO.pdf

⁶ საქართველოს მთავრობის დადგენილება №539 2016 წლის 9 დეკემბერი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3456448>

⁷ საქართველოს წინსვლის ანგარიში 2014-2015: https://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Georgia_2014-15_Final_Georgian.pdf

⁸ საქართველოს წინსვლის ანგარიში 2014-2015: https://www.opengovpartnership.org/sites/default/files/Georgia_2014-15_Final_Georgian.pdf

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის ვალდებულებები, რომელიც ღია მონაცემებთან და მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმებთან იყო დაკავშირებული, მათ შორის ონლაინ პეტიციის პლატფორმა (ichange.ge), ინფორმაციის თავისუფლების აქტის შემუშავება და საჯარო მოხელეთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შექმნა.

მეორე სამოქმედო გეგმის 29 ვალდებულებიდან შესრულდა - 20, ხოლო შეუსრულებელი დარჩა 9 ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ 9 შეუსრულებელ ვალდებულებას შორის იყო ელექტრონული პეტიციების პორტალის (ichange.ge), ინფორმაციის თავისუფლების შესახებ აქტის მიღება და საჯარო მოხელეთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შექმნა. შეუსრულებელი ვალდებულებები ზოგ შემთხვევაში განპირობებული იყო იმით, რომ პასუხისმგებელმა უწყებებმა ვერ შეძლეს საკუთარი რესურსებისა და შესაძლებლობების სათანადოდ შეფასება და წინაწარ გათვლა, მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს საკმარისი შესაძლებლობა ჰქონდათ განესაზღვრათ ვალდებულების შესრულებისთვის საჭირო რესურსები და საშუალებები.⁹

2016 წლის 11 ნოემბერს საქართველოს მთავრობამ ღია მმართველობის პარტნიორობის რიგით მესამე, 2016-2017 წლების, სამოქმედო გეგმა დაამტკიცა¹⁰, რომელშიც გაერთიანებულია 24 პასუხისმგებელი უწყების 24 ვალდებულება. რომელთა თემატიკა

მკვეთრად გაფართოებულია და ის 5 გამოწვევას მოიცავს:

- გამოწვევა I: საჯარო რესურსების გაუმჯობესება;
- გამოწვევა II: საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება;
- გამოწვევა III: საჯარო რესურსების უკეთესი მართვა;
- გამოწვევა IV: უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- გამოწვევა V: კორპორატიული პასუხისმგებლობის გაუმჯობესება¹¹.

სამოქმედო გეგმაში ასევე გათვალისწინებულია ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმით შეუსრულებელი ვალდებულება ინფორმაციის თავისუფლების აქტის შემუშავებისა და დამტკიცების შესახებ.

ღია პარლამენტი (2015-2018)

თავდაპირველად ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივა ითვალისწინებდა მონაწილე ქვეყნების აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების დიაოზის, ანგარიშვალდებულების გაძლიერებას, თუმცა 2014 წლიდან ღია მმართველობის პარტნიორობის პლატფორმა გაფართოვდა და მოიცვა საკანონმდებლო ორგანოების საქმიანობაც. 2015 წელს საქართველო გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც შეიმუშავა და მიიღო ღია პარლამენტის პირველი სამოქმედო გეგმა (2015-2016) და ასევე ხელი მოაწერა „დეკლარაციას ღია პარლამენტის შესახებ“¹².

საქართველოს ღია პარლამენტის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა შედგებოდა 18 ვალდებულებიდან.

⁹ ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულებული და შეუსრულებელი ვალდებულებები: <https://idfi.ge/ge/ogp-2014-2015-action-plan-accomplished-and-non-accomplished-obligations>

¹⁰ საქართველოს მესამე (2016-2017 წლების) სამოქმედო გეგმა: <https://www.opengovpartnership.org/documents/georgia-national-action-plan-2016-2018-georgian>

¹¹ ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3456448>

¹² იხილეთ საქართველოს პარლამენტის საქმიანობის შესაბამისობის ანალიზი ღია პარლამენტის შესახებ დეკლარაციასთან: goo.gl/HtC42S

აღნიშნული გეგმის მომზადებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა. 18 ვალდებულებიდან 15 შეთავაზებულ იქნა წვერი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, ხოლო სამი ვალდებულება საქართველოს პარლამენტის აპარატისა და ცალკეული პარლამენტის წევრების მიერ.

გარდა ამისა, 2015 წლის სექტემბერში პარლამენტმა, ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, „ღია მმართველობის პარტნიორობის საკანონმდებლო ღიაობის სამუშაო ჯგუფის“ მაღალი დონის საერთაშორისო შეხვედრას უმასპინძლა საქართველოს პარლამენტში. შეხვედრის მონაწილე 32-ზე მეტმა ქვეყანამ მათი მთავრობების მიერ მიღებული სამოქმედო გეგმები განიხილა და გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ახალი მექანიზმებისა და მათ დანერგვასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ ინფორმაცია გაცვალა.

მიუხედავად იმისა, რომ 2015-2016 წლების ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მიღების პროცესი წარმატებული იყო, არსებობდა მნიშვნელოვანი ხარვეზები გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების იმპლემენტაციის პროცესში პარლამენტის მიერ შესაბამისი ცვლილებების მიღების თვალსაზრისით. შესაძლებელია ითქვას, რომ პარლამენტის მხრიდან არასათანადო დამოკიდებულებამ განაპირობა ვალდებულებების უმრავლესობის შეუსრულებლობა და ასევე შესრულებული ვალდებულებების უმრავლესობის დაგვიანებით მიღება¹³.

აღნიშნული ხარვეზების ფონზე, პირველი სამოქმედო გეგმის 18 ვალდებულებიდან სრულად შესრულდა მხოლოდ 5, ხოლო ნაწილობრივ 9 ვალდებულება. შეუსრულებელ ვალდებულებათა შორის იყო სამოქმედო გეგმის რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვანი და ამბიციური ინიციატივა, მათ შორის საქართველოს პარლამენტის წევრთა ეთიკის კოდექსის მიღება და განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესება¹⁴.

საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის 16 იანვარს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით შექმნა ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. „ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოს“ დახმარებას უწევს საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც შედგება საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან. საკონსულტაციო საბჭოს ამოცანაა საპარლამენტო საბჭოსთვის რეკომენდაციების და წინადადებების მომზადება, უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობა და საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებათა განხორციელების მონიტორინგი.

2017 წლის 16 მაისს, საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომაზე დამტკიცდა საქართველოს ღია პარლამენტის მეორე (2017-2018 წლების) სამოქმედო გეგმა¹⁵. მასში განისაზღვრა 28 ვალდებულება, მათ შორის მოიცავს 16 ვალდებულებას, რომლებიც პირველი წლების სამოქმედო გეგმით იყო გათვალისწინებული და ნაწილობრივ, ან საერთოდ არ შესრულებულა.

¹³ ღია პარლამენტის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მეორე ანგარიში: <http://www.ogp.ge/sites/default/files/open-parliament-action-plan-second-monitoring-report-geo.pdf>

¹⁴ საქართველოს ღია პარლამენტის მეორე სამოქმედო გეგმის მიმოხილვა: <http://www.chemiparlamenti.ge/ka/publication/sakartvelos-ghia-parlamentis-meore-samokmedo-gegmis-mimokhilva>

¹⁵ ღია პარლამენტის მეორე სამოქმედო გეგმა: <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/149493?>

თბილისის ღია მმართველობა (2016-2017)

2016 წლის აპრილს ღია მმართველობის პარტნიორობამ გამოაქვეყნა ადგილობრივ ხელისუფლებათა საპილოტე პროგრამის გამარჯვებულთა სია, რომლის მიხედვითაც თბილისი შერჩეულ 15 ადგილობრივ თვითმმართველობას შორის მოხვდა. ადგილობრივ ხელისუფლებათა საპილოტე პროგრამაში მონაწილეობა ნიშნავს, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის გზით იღებს ვალდებულებას უფრო ღია, გამჭვირვალე და მოქალაქეთა ჩართულობაზე ორიენტირებულ მმართველობაზე.

2016 წლის მაისის ბოლოდან დაიწყო სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის პირველადი კონსულტაციები რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად. 2017 წლის ნოემბერს თბილისის მერიამ 2017 სამოქმედო გეგმა დაამტკიცა. აღსანიშნავია, რომ მთავრობისა და პარლამენტის სამოქმედო გეგმებისგან განსხვავებით, თბილისის მერიის სამოქმედო გეგმა შეიცავს მხოლოდ ხუთ ვალდებულებას. ეს განპირობებულია ღია მმართველობის პარტნიორობის რეკომენდაციით, რომ სამოქმედო გეგმა იყოს ვალდებულებათა ხარისხზე ორიენტირებული და მაქსიმალურად დაცული იყოს რელევანტობა ღია მმართველობის პრინციპებთან:

- ვალდებულება 1 – ღია მმართველობისა და სამოქალაქო ჩართულობის მრავალპროფილური მექანიზმის – საინფორმაციო და სამოქალაქო აქტივობის პორტალი “SMART MAP”-ის დანერგვა
- ვალდებულება 2 – პეტიციის დანერგვა მერიის სისტემაში, ელექტრონული პეტიცია
- ვალდებულება 3 – ბიუჯეტის მონაწილეობითი დაგეგმვის მექანიზმის დანერგვა

- ვალდებულება 4 – ბიუჯეტის ხარჯვის ინტერაქტიული ხელმისაწვდომობისა და სამოქალაქო კონტროლის მექანიზმების დანერგვა
- ვალდებულება 5 – სერვისების სამოქალაქო კონტროლისა და ხელმისაწვდომობის მექანიზმების დანერგვა

საქართველო და OGP-ის მმართველი კომიტეტი

ღია მმართველობის პარტნიორობის საქმიანობასა და მიმართულებებს განსაზღვრავს მმართველი კომიტეტი (Steering Committee), რომელიც არჩევნების გზით კომპლექტდება წევრ მთავრობათა და არასამთავრობო ორგანიზაციათა თანაბარი რაოდენობის წარმომადგენლებით. 2014 წელს საქართველო OGP-ის მმართველი კომიტეტის წევრად აირჩიეს. 2016 წლის მაისში ღია მმართველობის პარტნიორობის მმართველმა კომიტეტმა საქართველო პარტნიორობის თანათავმჯდომარედ აირჩია. თანათავმჯდომარეობის ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ, 2017 წლის 19 სექტემბერს, საქართველო ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე გახდა.

ღია მმართველობის პარტნიორობის თავმჯდომარეობა საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს პასუხისმგებლობას წარმოადგენს. საქართველო იქნება ჩართული სტრატეგიული მიმართულებების ჩამოყალიბებასა და აქტივობების განხორციელებაში და ექნება შესაძლებლობა ხელი შეუწყოს პრიორიტეტულ სფეროებში მთავრობათა შორის ერთობლივი მიზნების გაჩენას. საქართველოს ასევე მიეცემა საერთაშორისო პლატფორმა იმ შედეგების წარმოსაჩენად, რასაც ქვეყანამ გასულ წლებში მიაღწია. შესაბამისად, თავმჯდომარეობის პერიოდში საქართველო გაძლიერებული საერთაშორისო ყურადღების ქვეშ მოექცევა და საკუთარი მთავრობის, პარლამენტის თუ თბილისის მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმის ვალდებულებების შესრულების

ხარისხით სხვა ქვეყნებისათვის მაგალითს უნდა წარმოადგენდეს.

რეკომენდაციები

1. სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს არასამთავრობო სექტორის მოსაზრება და უარი თქვას საჯარო მომსახურების მიწოდებასა და შიდა სისტემებზე ორიენტირებულ ვალდებულებებისგან. ამის ნაცვლად, აქცენტი უნდა გაკეთდეს მთავრობასა და მოქალაქეთა შორის თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაციასა, საჯარო ინფორმაციის ღიაობასა და ხელმისაწვდომობაზე და საზოგადოების ჩართულობაზე სახელმწიფო პოლიტიკასა და გადაწყვეტილების მიღებაში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივ დონეზე, სადაც მთავრობის პოლიტიკა უფრო პირდაპირ გავლენას ახდენს მოქალაქეთა ცხოვრებაზე და სადაც საჯარო ანგარიშვალდებულების მექანიზმები სუსტია ან საერთოდ არ არსებობს.
2. საქართველოს თავმჯდომარეობის პერიოდში აუცილებელია ღია მმართველობის პროცესების მნიშვნელობის განმტკიცება და უმაღლესი რგოლების აქტიური ჩართულობა სტრატეგიული ამოცანების შესასრულებლად. არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, საჭიროა ღია მმართველობის პროცესების მართვის ფუნქცია არსებულზე მაღალ დონეზე ხდებოდეს, კერძოდ იუსტიციის სამინისტროს ნაცვლად საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ. საქართველოს პრემიერ მინისტრმა პირადად უნდა უზრუნველყოს ღია მმართველობის პარტნიორობის პროცესის ირგვლივ ყველა სამთავრობო უწყებისა ჩართულობა და ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.
3. საქართველოს ღია მმართველობის სამოქმედო გეგმა უნდა იყოს ყველა სხვა OGP-ის წევრი ქვეყნისთვის სანიშნო დოკუმენტი, რომლის შინაარსობრივი მხარე და შესრულება იქნება მაქსიმალურად დახვეწილი და დროული. ამისთვის აუცილებელია, ისეთი
4. დღეისთვის არსებულ კორუფციასთან ბრძოლის სისტემაში ხარვეზების გამოსასწორებლად და პრევენციის მექანიზმების დახვეწის მიზნით, საქართველოს მთავრობის მხრიდან ერთ-ერთ პრიორიტეტად და გამოწვევად უნდა დაფიქსირდეს ანტიკორუფციული მიმართულება. ღია მმართველობის პარტნიორობის პლატფორმის ფარგლებში მთავრობამ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი მსჯელობას დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახურის შექმნის შესახებ. აუცილებელია ამ პროცესში გათვალისწინებული იყოს სამოქალაქო სექტორის მოსაზრებები და რეკომენდაციები.¹⁶
5. პარლამენტის საქმიანობის გამჭვირვალობის, ღიაობისა და მასში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მიღწევა მუდმივი პროცესია. ღია პარლამენტის მომდევნო სამოქმედო გეგმაზე მუშაობისას გათვალისწინებული უნდა იყოს საკანონმდებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა, მათ შორის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საკანონმდებლო პროცესში შემუშავებული დოკუმენტები ვებ გვერდის საშუალებით ღია და დამუშავებული ფორმატით. ასევე მნიშვნელოვანია საკანონმდებლო განხილვებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვის ხელშეწყობა, დაინტერესებული პირების საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაში ჩართვა რამდენიმე საშუალების ეფექტური გამოყენებით უნდა განხორციელდეს. საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა პარლამენტის საქმიანობის შესახებ, პარლამენტის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია დროულად უნდა იყოს ხელმისაწვდომი. პარლამენტი აღნიშნული მიზნის მისაღწევად აქტიურად უნდა იყენებდეს ვებ გვერდს, სოციალურ ქსელებს და კომუნიკაციის სხვა საშუალებებს.

¹⁶ საერთაშორისო გამოცდილება და რეფორმის ვარიანტები საქართველოსთვის: www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/antikoruuciuij_saagtoebi_saertashoriso_gamocdileba_da_repormis_variantebi_sakartvelostvis.pdf; დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახური - საქართველო და საერთაშორისო სტანდარტები: www.idfi.ge/ge/independent_anti_corruption_structure_creation_needs_georgia